PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ კოლეჯი "იკაროსის" საგანმანათლებლო პროგრამების „სასტუმრო მომსახურებისა“ და „სარესტორნო მომსახურების“ მონიტორინგის შესახებ

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| --- |
| თავმჯდომარე: ზაირა ბერიძე |
| **წევრი:** |
| სახელი, გვარი: ნანა შათირიშვილი |

*{ქ. თბილისი, 2020 წელი}*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

ნ. შათირიშვილი

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი „იკაროსი“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **ა(ა)იპ** - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

**სახე:**

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

## II. მონიტორინგის სახე:

- [ ] გეგმიური
- [ ] არაგეგმიური
- [ ] ვიზიტი განხორციელდა მონიტორინგის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:



PDF Eraser Free

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| **სასტუმრო მომსახურება** | **180** სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს-90 | **16** (მათ შორის ინტეგრირებული - 7; | - |
| **სარესტორნო მომსახურება** | **180** სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს-90 | **13** მათ შორის ინტეგრირებული - 7; | - |

*შენიშვნა:*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:



PDF Eraser Free

*დირექტორთან გასაუბრებით (რომელიც განხორციელდა მონიტორინგის განრიგის შესაბამისად დისტანციურად ZOOM პლატფორმის გამოყენებით) დასტურდება რომ: სასტუმრო მომსახურების პროგრამაზე 2020 წლის საშემოდგომო მიღებისას პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპვა 16 აპლიკანტმა (პირველადი ჩარიცხვით), ამათგან ინტეგრირებულ პროგრამაზე ჩაირიცხა - 7 აპლიკანტი , ხოლო სასტუმრო მომსახურების პროგრამაზე 13 და ამათგან 7ინტეგრირებული.*

## IV. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2020 წლის 31 ივნისის №653443 ოქმი) სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 2 ოქტომბრის N934395 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დოკუმენტების შესწავლის გზით ა(ა)იპ კოლეჯში „იკაროსი“ (შემდგომში კოლეჯი) საგანმანათლებლო პროგრამების „სასტუმრო მომსახურების“ და „სარესტორნო მომსახურების“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და შეიმუშავა დღის წესრიგის განრიგი. ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (ZOOM_ის პლატფორმა) გამოყენებით. დღის წესრიგის შესაბამისად, შედგა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან (საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთან და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან) გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა; საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალური და ადამიანური რესურსის დოკუმენტაციის შემოწმება და ვიზუალური დათვალიერება ვიდეო ზარის საშუალებით; საგანმანათლებლო პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

ნ. [signature]

PDF Eraser Free

ხელმძღვანელ(ებ)თან და განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი მასწავლებელები) გასაუბრება;

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში („სასტუმრო მომსახურება“ და „სარესტორნო მომსახურება“ პროგრამების დამატება) მომზადებული დასკვნების თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „სასტუმრო მომსახურება“ და „სარესტორნო მომსახურება“ მე-2 ავტორიზაციის სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად.

მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით და ასევე დისტანციურად განხორცილეებული ვიზიტის შესაბამისად (ZOOM პლატფორმის გამოყენებით), ზემოაღნიშნული პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამები არის უკვე „სრული შესაბამისი“.

## V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

---

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტისას პროგრამების „სასტუმრო მომსახურება“ და „სარესტორნო მომსახურება“ 2.2 კომპონენტთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაციების შესრულება შეფსადა დადებითად, კერძოდ:

### „სასტუმრო მომსახურება“ კომპონენტი 2.2.1.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:



PDF Eraser Free

**ინდიკატოერი**1. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: პროგრამით გათვალისწინებული რესურსი მობილიზდეს დაწესებულების ბაზაზე - შესრულებულია;

**ინდიკატორი**3. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა რომლებიც განახორციელებენ ინტეგრირებულ მოდულებს, რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება, საჭიროა გაიარონ გადამზადება ინტეგრირებული მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში - შესრულებულია; ***ინტეგრირებული მოდულებისათვის შერჩეულმა პედაგოგებმა უკვე გაიარა ტრენინგების სრული ციკლი, რომელიც მოეწყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით.***

„სარესტორნო მომსახურება" კომპონენტი 2.2.1.

**ინდიკატორი** 1. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: პროგრამით გათვალისწინებული რესურსი მობილიზდეს დაწესებულების ბაზაზე - შესრულებულია;

**ინდიკატორი**3. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა რომლებიც განახორციელებენ ინტეგრირებულ მოდულებს, რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება, საჭიროა გაიარონ გადამზადება ინტეგრირებული მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში - შესრულებულია; ***ინტეგრირებული მოდულებისათვის შერჩეულმა პედაგოგებმა უკვე გაიარა ტრენინგების სრული ციკლი, რომელიც მოეწყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free

## VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ გამოვლენილა

## VIII. რეკომენდაციების შეჯამება

___



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free

## IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**სასტუმრო მომსახურება**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სასტუმრო მომსახურეობა |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Hotel Service |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის N01- 09/89 ბრძანებით |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | მარშალ გელოვანის გამზირი N4, 0159 თბილისი, საქართველო ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | მარშალ გელოვანის გამზირი N4, 0159 თბილისი, საქართველო ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“ – 180 პროფესიული სტუდენტი |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 86 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 176 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

ნ.

PDF Eraser Free
პროგრამის, „სასტუმრო მომსახურების“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | **სრული 3** | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |

PDF Eraser Free


**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა იგეგმება საგანამანათლებლო დაწესებულების ბაზაზე არსებულ A, B და C სასწავლო გარემოში. დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„სასტუმრო მომსახურება“ გამოყოფილი აქვს შემდეგი სასწავლო აუდიტორიები:**
2 (ორი) A გარემო (აუდიტორია) - სადაც განთავსებულია მერხი და სკამი 15 პროფესიული სტუდენტისათვის, თეორიული და ინტეგრირებული სწავლებისათვის; B და C გარემოსთვის გათვალისწინებულია აქვს ერთი საერთო სივრცე პრაქტიკული სწავლებისათვის (კლასკაბინეტი - ოპერის პროგრამის სასწავლო გარემო), რომელშიც განთავსებულია და მოწყობილია 15 პერსონალური კომპიუტერი ინდივიდუალური მუშაობისათვის (ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე), პროგრამისათვის ასევე დაწესებულებაში არის 2 (ორი) C გარემო (სასტუმროს ნომერი) და ერთი C გარემო (სამრეცხაო); ასევე 1 (ერთი) C გარემო -(პირველადი დახარების აუდიტორია); 2 (ორი) C გარემო (სარესტორნო სახელოსნო) და ერთი ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის.
სწავლა განხორციელდება სამ ცვალაში, დაწესებულება გეგმავს პროფესიული სტუდენტების სურვილის შესაბამისად მოახდინოს ცვლაში მათი გადანაწილება, თითო ჯგუფი დაკომპლექტებული იქნება 15 პროფესიული სტუდენტით, შესაბამისად აყვანა 3 (სამი) მიღების მანძილზე განხორციელდება მხოლოდ 12 ჯგუფის; თითო მიღებაზე 4 ჯგუფი, ჯგუფში 15 სტუდენტი, სულ 60 სტუდენტი ერთ მიღებაზე.
სასწავლო გეგმა არაინტეგრირებულ ახალ პროგრამაზე გაწერილია 2 ბლოკად, ხოლო ინტეგრირებულ პროგრამაზე 3 ბლოკად; თითოეული ბლოკის სწავლება შეესაბამება 1 სასწავლო წელს;


ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free

დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს როგორც პროგრამის ხანგრძლივობა, ორივე მიდგომით განხორციელების შემთხვევაში, ასევე ჯგუფების რაოდენობა. სასწავლო გეგმა იმგვარადაა გაწერილი რომ ახალი ჯგუფის მიღება ემთხვევა ძველი ჯგუფის სწავლის დასრულების დროს, რაც სასწავლო გარემოს გამტარიანობას უზრუნველყოფს და სასწავლო გარემო(ები) ვალიდურია 60 პროფესიულ სტუდენტზე (ერთ მიღებაზე - 4 ჯგუფი 15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული).

ინტეგრირებული მოდულების პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილია ერთი C გარემო - სასწავლო ლაბორატორია, სადაც მეცნიერება და ტექნოლოგიების მოდული შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის სტანდარტებთან. შესაბამისად დაწესებულებას აქვს გამოყოფილი ე.წ. სასწავლო ლაბოორატორია (C სასწავლო გარემო-სივრცე) ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის მოდულ(ებ)ის განხორციელებისათვის. თითოეული მათგანი აღჭურვილია მოდულების შესაბამისი მატერიალური ინვენტარით და მოდულის პროცესების მიმართულებისათვის საჭირო აღჭურვილობით, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ და ასევე მოხდა ვიზუალური დათვალიერებაც ვიდეო ზარის საშუალებით.

ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოებები (A,B,C) გათვალისწინებულია ერთ ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე და დაკომპლექტებულია შესაბამისი აღჭურვილობით. ექსპერტემბმა მოხდინეს ვიზუალური დათვალიერება(ვიდო ზარის საშუალებით) და ნახეს მიღება ჩაბარების დოკუმენტებიც.

სასწავლო გარემო, როგორც ინტეგრირებული ასევე არაინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში, აღჭურვილია მასწავლებლის სამუშაო კუთხით (მაგიდით და სკამით), პროექტორით და ქსელში ჩართული კომპიუტერით.

აღსანიშნავია რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 2 ოქტომბრის N934395 ბრძანების საფუძველზე, განხორცილებული მონიტორინგის პერიოდში კოლეჯში უკვე იყო პირველადი ჩარიცხვა დასრულებული და დაწესებულებას ყავდა ორი ჯგუფი დაკომპლექტებული სასტუმროს მომსახურების პროგრამაზე, მათშორის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

ნ. [signature]

PDF Eraser Free
ინტეგრირებული ერთი ჯგუფი, ჯამში 15 პროფესიული სტუდენტით (ინტეგრირებული - 6 პროფესიული სტუდენტი);

დაწესებულება გეგმავს, საგანმანათლებლო პროგრამის, პრაქტიკული კომპონენტის ძირითადი ნაწილის, სასწავლებლის ბაზაზე, C სასწავლო გარემოში განხორცილებას თუმცა დაწესებულებას საწარმოო პრაქტიკისათვის" გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 4 (ოთხი) საწარმოსთან: სასტუმრო „ჰუალინგი" (Hualing international special economic zone); სასტუმრო „ბილთმორტ თბილისი"; სასტუმრო „Gold Tbilisi Hotel"; სს სასტუმრო „კრონ პალასი".

ხელშეკრულების თანახმად, სასტუმრო თითოეული თანახმაა 15 პროფესიული სტუდენტისათვის არჩევითი მოდულის „საწარმოო პრაქტიკის" ფარგლებში პრაქტიკის განხორციელების უზრუნველყოფა. დაწესებულება, საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე, სულ ცოტა 1 კვირით ადრე აცნობებს, საწარმოო პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს, პრაქტიკის თარიღისა და დროის ხანგრძლივობის შესახებ, სტუდენტთა სახელობით სიას და ინფორმაციას მოდულის თემატიკის შესახებ. თავის მხრივ, ობიექტი გამოყოფს კვალიფიციურ პირს სტუდენტთა ზედამხედველობის მიზნით, უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასებას სწავლის შედეგების შესაბამისად და დაიცავს სტუდენტთა უფლებებს.

დაწესებულების დირექტორთან გასაუბრებით დაზუსტდა რომ პრაქტიკა განხორციელდება როტაციული პრინციპით სხვადასხვა განყოფილებებში და შესაბამისად ამ მხრივ გამტარუნარიოანობა სტუდენტების რაოდენობის დასტურდება.

*პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.*

2. ***პროგრამისთვის, „სასტუმრო მომსახურება", განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.*** პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაზე განსაზღვრულია დარგის 41 პროფესიული მასწავლებელი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ზოგადი, პროფესიული და ინტეგრირებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free
მოდულებისთვის. მათშორის ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით, კოლეჯმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩართულობით, კონკურსის გზით აიყვანა ახალი პედაგოგები მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ მასწავლებლებს აქვს პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ:

საგანმანათლებლო პროგრამას, „სასტუმრო მომსახურება“, ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელ(ებ)ი (ორი ხელმძღვანელი). ასევე, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული და ზოგადი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, გავლილი აქვთ არაერთი ტრენინგები პროფესიულ სტუდენტთა სწავლების და შეფასების მიმართულებით, შესაბამისად მათ აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების მრავალწლიანი გამოცდილება.

*რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების* განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, გამოცხადდა კონკურსი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებზე, გაიწერა შერჩევის კრიტერიუმები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა *(ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „სასტუმრო მომსახურება“ და „სარესტორნო მომსახურება“ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების თანამდებობებზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი)*. შერჩეულმა პედაგოგებმა უკვე გაიარა ტრენინგების სრული ციკლი, რომელიც მოეწყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით. ამრიგად პროგრამისთვის განსაზღვრული ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:



PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელებთან და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ რამდენიმე პედაგოგთან, ჩატარდა ინტერვიუ (დისტანციურ რეჟიმში - ZOOM პლატფორმის გამოყენებით), რომლის შედეგად გაირკვა, რომ შერჩეულ პედაგოგებს, გააზრებული აქვთ ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიდგომები, არიან კვალიფიციური მასწავლებლები, აქვთ სწავლის მრავალწლიანი გამოცდილება, იციან სწავლების და შეფასების მეთოდები. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა რომ ისინი უკვე იცნობენ პროფესიულ განათლებას და აქვთ მზაობა პროცესში ჩართულობის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ კოლეჯს თავის სტრატეგიულ გეგმაში ერთ ერთ მიზნად გაწერილი აქვს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, რაც თავის მხრივ ნიშნავს პედაგოგებისათვის მუდმივი ზრდის ხელშეწყობას დაწესებულების მხრიდან.

***პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;***

4. ***პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად კოლეჯს დანიშნული ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებლები,*** რომლებიც არიან დარგის სპეციალისტები და აქვთ დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, მათ აქვთ შესაძლებლობა სრულფასოვნად უხელმძღვანელონ პროგრამის განხორციელების პროცესს. პროგრამის ხელმძღვანელებთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება (N16, 17) სადაც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები, ასევე ანაზღაურების წესი და პირობები. ასევე პროგრამის ხელმღვანელთან გასაუბრებით გამოიკვეთა მზაობა უხელმძღვანელოს პროგრამას და მიიღოს მონაწილეობა მის განვითარებაში.

5. კოლეჯის ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. ***მოდულებში მითითებული ლიტერატურა (ასევე ელექტრონული) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.*** ბიბლიოთეკაში განთავსებულია ლეპტოპები, რომლებიც ჩართულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

ნ. [signature]

PDF Eraser Free

ინტერნეტში და კოლეჯის თითოეულ სტუდენტსა და თანამშრომელს აქვს აღნიშნულ მასალასთან წვდომა. კოლეჯს შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკარის შტატი. კოლეჯის ბიბლიოთეკარს აქვს უმაღლესი განათლება, ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე მუშაობის 6 წლის პრაქტიკული გამოცდილება. დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება განხორციელდა ვიდეო ზარის საშუალებით (ZOOM პლატფორმის საშუალებით), დღის წესრიგის განრიგის შესაბამისად.

6. *კოლეჯს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო,* კერძოდ პანდუსი, ასევე, შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები, სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსი. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც მოქმედებს კანონით დადგენილი წესისა და თავისი კომპეტენციების შესაბამისად.კოლეჯს ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი ინტენსიურად მუშაობს სსსმ სტუდენტებთან. *საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.* დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, ( დამტკიცებული დირექტორის 3 ივნისის 2020 წლის N 01-09/75 ბრძანებით);

***ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად:*** ინდივიდუალური გეგმა იქმნება იმ შემთხვევაში, თუკი, სასწავლო პროცესში დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების პარალელურად, ჩნდება საჭიროება პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად დაზუსტდეს სასწავლო მიზნები და შეიქმნას მისთვის ინდივიდუალურად ხელსაყრელი სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისათვის, რაც გულისხმობს მოდულების ადაპტირებას სტუდენტის საჭიროებისამებრ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასტუმრო მომსახურება“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. ***დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამისთვის შედგენილი ბიუჯეტი.*** ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსის“ ბალანსზე რიცხული მატერიალურ - ტექნიკური ბაზით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ მიერ პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ სტრატეგიული გეგმით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/82 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - კოლეჯის „იკაროსი“ ბიბლიოთეკის დებულებისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/75 ბრძანებით „ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ ინდივიდუალური
- სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- პროგრამის ბიუჯეტით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

ნ. [signature]

PDF Eraser Free

- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით (ოთხი პრაქტიკის ობიექტი: „სს სასტუმრო კრონ პალასი“; სასტუმრო „Golden Tbilisi Hotel”; სასტუმრო „ბილთმორტ თბილისი“; სასტუმრო „ჰუალინგი“).
- ვიზუალური დათვალიერებით (ვიდეოზარის მეშვეობით)
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით / ინტერვიურებით.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free


**სარესტორნო მომსახურება**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სარესტორნო მომსახურეობა |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში / Secondary Vocational Qualification in Restaurant Service |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 12 ივნისის N01- 09/89 ბრძანებით |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | მარშალ გელოვანის გამზირი N4, 0159 თბილისი, საქართველო ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი" |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | მარშალ გელოვანის გამზირი N4, 0159 თბილისი, საქართველო ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი" – 180 პროფესიული სტუდენტი |

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 150 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 90 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 120 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free

*პროგრამის, „სარესტორნო მომსახურება“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი*

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | **სრული 3** | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free


**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

7. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
8. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
9. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
10. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
11. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
12. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

ნ.

PDF Eraser Free

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა იგეგმება საგანამანათლებლო დაწესებულების ბაზაზე არსებულ A, B და C სასწავლო გარემოში. დაწესებულებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის **„სარესტორნო მომსახურება" გამოყოფილი აქვს შემდეგი სასწავლო აუდიტორიები:**

2 (ორი) A გარემო (აუდიტორია) - სადაც განთავსებულია მერხი და სკამი 15 პროფესიული სტუდენტისათვის, თეორიული და ინტეგრირებული სწავლებისათვის; AდაB გარემო გათვალისწინებულია აქვს ერთი საერთო სივრცე პრაქტიკული სწავლებისათვის (კლასკაბინეტი), რომელშიც განთავსებულია და მოწყობილია 15 პერსონალური კომპიუტერი ინდივიდუალური მუშაობისათვის (ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე), პროგრამისათვის ასევე დაწესებულებაში არის 1(ერთი) C გარემო (სასტუმროს ნომერი) და ერთი C გარემო (სამრეცხაო); ასევე 1 (ერთი) C გარემო -(პირველადი დახარების აუდიტორია); 2 (ორი) C გარემო (სარესტორნო სახელოსნო); ერთი C გარემო (სამზარეულო სახელოსნო); ერთი C გარემო (ბარის სახელოსნო) და ერთი ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის.

სწავლა განხორციელდება სამ ცვალაში, დაწესებულება გეგმავს პროფესიული სტუდენტების სურვილის შესაბამისად მოახდინოს ცვლაში მათი გადანაწილება, თითო ჯგუფი დაკომპლექტებული იქნება 15 პროფესიული სტუდენტით, შესაბამისად აყვანა 3 (სამი) მიღების მანძილზე განხორციელდება მხოლოდ 12 ჯგუფის; თითო მიღებაზე 4 ჯგუფი, ჯგუფში 15 სტუდენტი, სულ 60 სტუდენტი ერთ მიღებაზე.

სასწავლო გეგმა არაინტეგრირებულ ახალ პროგრამაზე გაწერილია 2 ბლოკად, ხოლო ინტეგრირებულ პროგრამაზე 3 ბლოკად; თითოეული ბლოკის სწავლება შეესაბამება 1 სასწავლო წელს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free

დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს როგორც პროგრამის ხანგრძლივობა, ორივე მიდგომით განხორციელების შემთხვევაში, ასევე ჯგუფების რაოდენობა. სასწავლო გეგმა იმგვარადაა გაწერილი რომ ახალი ჯგუფის მიღება ემთხვევა ძველი ჯგუფის სწავლის დასრულების დროს, რაც სასწავლო გარემოს გამტარიანობას უზრუნველყოფს და სასწავლო გარემო(ები) ვალიდურია 60 პროფესიულ სტუდენტზე (ერთ მიღებაზე - 4 ჯგუფი 15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული).

ინტეგრირებული მოდულების პრაქტიკული სწავლებისთვის გამოყოფილია ერთი C გარემო - სასწავლო ლაბორატორია, სადაც მეცნიერება და ტექნოლოგიების მოდული შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის სტანდარტებთან. შესაბამისად დაწესებულებას აქვს გამოყოფილი ე.წ. სასწავლო ლაბოორატორია (C სასწავლო გარემო-სივრცე) ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის მოდულ(ებ)ის განხორციელებისათვის. თითოეული მათგანი აღჭურვილია მოდულების შესაბამისი მატერიალური ინვენტარით და მოდულის პროცესების მიმართულებისათვის საჭირო აღჭურვილობით, რომელიც წარმოადგინა დაწესებულებამ და ასევე მოხდა ვიზუალური დათვალიერებაც ვიდეო ზარის საშუალებით.

ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოებები (A,B,C) გათვალისწინებულია ერთ ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე და დაკომპლექტებულია შესაბამისი აღჭურვილობით. ექსპერტემზმა მოხდინეს ვიზუალური დათვალიერება(ვიდო ზარის საშუალებით) და ნახეს მიღება ჩაზარების დოკუმენტებიც.

სასწავლო გარემო, როგორც ინტეგრირებული ასევე არაინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში, აღჭურვილია მასწავლებლის სამუშაო კუთხით (მაგიდით და სკამით), პროექტორით და ქსელში ჩართული კომპიუტერით.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდეგომში ცენტრი) დირექტორის 2020 წლის 2 ოქტომბრის N934395 ბრძანების საფუძველზე განხორცილებული მონიტორინგის პერიოდში, კოლეჯში უკვე იყო პირველადი ჩარიცხვა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

დასრულებული და დაწესებულებას ყავდა ორი ჯგუფი დაკომპლექტებული სარესტორნო მომსახურების პროგრამაზე, მათშორის ერთი ჯგუფი ინტეგრირებული, ჯამში 13 პროფესიული სტუდენტით. (ინტეგირებული - 7 პროფესიული სტუდენტი);

PDF Eraser Free

დაწესებულება გეგმავს, საგანმანათლებლო პროგრამის, პრაქტიკული კომპონენტის ძირითადი ნაწილის, სასწავლებლის ბაზაზე, C სასწავლო გარემოში განხორცილებას თუმცა დაწესებულებას პრაქტიკული კომპონენტისათვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 4 (ოთხი) საწარმოსთან: სასტუმრო „ჰუალინგი" (Hualing international special economic zone); სასტუმრო „ბილთმორტ თბილისი"; სასტუმრო „Gold Tbilisi Hotel"; სს სასტუმრო „კრონ პალასი".

ხელშეკრულების თანახმად, თითოეული სასტუმრო თანახმაა 15 პროფესიული სტუდენტისათვის ერთდროულად არჩევითი მოდულის „საწარმოო პრაქტიკის" ფარგლებში პრაქტიკის განხორციელების უზრუნველყოფაზე. გამომდინარე პრაქტიკის ობიექტების რაოდენობიდან 60 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად მიღების შემთხვევაში შესაძლებელია საწარმოო პრაქტიკის განხორციელება შეუფერხებლად. დაწესებულება, საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე, სულ ცოტა 1 კვირით ადრე აცნობებს, საწარმოო პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს, პრაქტიკის თარიღისა და დროის ხანგრძლივობის შესახებ, სტუდენტთა სახელობით სიას და ინფორმაციას მოდულის თემატიკის შესახებ. თავის მხრივ, ობიექტი გამოყოფს კვალიფიციურ პირს სტუდენტთა ზედამხედველობის მიზნით, უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასებას სწავლის შედეგების შესაბამისად და დაიცავს სტუდენტთა უფლებებს.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, (ასევე პრაქტიკის ორგანიზაციების ბაზაზე), პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.„სარესტორნო მომსახურება" განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამაზე განსაზღვრულია დარგის 41 პროფესიული მასწავლებელი. ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით, კოლეჯმა წინარე შრომითი ხელშეკრულებები გააფორმა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 29 პროფესიულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free
მასწავლებლებთან ინტეგრირებული მოდულებისთვის. ახალი პედაგოგების აყვანა მოხდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩართულობით, კონკურსის გზით.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულ მასწავლებელს აქვს პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ:

**„სარესტრნო მომსახურება“** საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ასევე, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული და ზოგადი მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება, გავლილი აქვთ არაერთი ტრენინგები პროფესიულ სტუდენტთა სწავლების და შეფასების მიმართულებით, შესაბამისად მათ აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების მრავალწლიანი გამოცდილება.

***რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების*** განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, გამოცხადდა კონკურსი ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ მასწავლებლებზე, გაიწერა შერჩევის კრიტერიუმები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა *(ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „სასტუმრო მომსახურება“ და „სარესტორნო მომსახურება“ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების თანამდებობებზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი)*. შერჩეულმა პედაგოგებმა უკვე გაიარა ტრენინგების სრული ციკლი, რომელიც მოეწყო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორგანიზებით. ამრიგად პროგრამისთვის განსაზღვრული ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:



PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელთან და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ რამდენიმე პედაგოგთან, ჩატარდა ინტერვიუ (დისტანციურ რეჟიმში - ZOOM პლატფორმის გამოყენებით), რომლის შედეგად გაირკვა, რომ შერჩეულ პედაგოგებს, გააზრებული აქვთ ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიდგომები, არიან კვალიფიციური მასწავლებლები, აქვთ სწავლის მრავალწლიანი გამოცდილება, იციან სწავლების და შეფასების მეთოდები. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა რომ ისინი უკვე იცნობენ პროფესიულ განათლებას და აქვთ მზაობა პროცესში ჩართულობის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ კოლეჯს თავის სტრატეგიულ გეგმაში ერთ ერთ მიზნად გაწერილი აქვს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, რაც თავის მხრივ ნიშნავს პედაგოგებისათვის მუდმივი ზრდის ხელშეწყობას დაწესებულების მხრიდან.

***პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;***

4. ***პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად კოლეჯს დანიშნული ჰყავს პროფესიული განათლების მასწავლებელი,*** რომლებიც არიან დარგის სპეციალისტები და აქვთ დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, მათ აქვთ შესაძლებლობა სრულფასოვნად უხელმძღვანელონ პროგრამის განხორციელების პროცესს. პროგრამის ხელმძღვანელებთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურადაა გაწერილი დასაქმებულის უფლებები და მოვალეობები, ასევე ანაზღაურების წესი და პირობები. პროგრამის ხელმღვანელთან გასაუბრებით გამოიკვეთა მზაობა უხელმძღვანელოს პროგრამას და მიიღოს მონაწილეობა მის განვითარებაში.

5. კოლეჯის ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. ***მოდულებში მითითებული ლიტერატურა (ასევე ელექტრონული) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.*** ბიბლიოთეკაში განთავსებულია ლეპტოპები, რომლებიც ჩართულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:



PDF Eraser Free

ინტერნეტში და კოლეჯის თითოეულ სტუდენტსა და თანამშრომელს აქვს აღნიშნულ მასალასთან წვდომა. კოლეჯს შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილზე. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკარის შტატი. კოლეჯის ბიბლიოთეკარს აქვს უმაღლესი განათლება, ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე მუშაობის 6 წლის პრაქტიკული გამოცდილება. დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება განხორციელდა ვიდეო ზარის საშუალებით (ZOOM პლატფორმის საშუალებით), დღის წესრიგის განრიგის შესაბამისად.

6. *კოლეჯს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო,* კერძოდ პანდუსი, ასევე, შშმ პირების მოთხოვნებთან ადაპტირებული სველი წერტილები, სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსი. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც მოქმედებს კანონით დადგენილი წესისა და თავისი კომპეტენციების შესაბამისად.კოლეჯს ინკლუზიური პროფესიული განათლების გუნდი ინტენსიურად მუშაობს სსსმ სტუდენტებთან. *საჭიროების შემთხვევაში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.* დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, ( დამტკიცებული დირექტორის 3 ივნისის 2020 წლის N 01-09/75 ბრძანებით);

***ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად:*** ინდივიდუალური გეგმა იქმნება იმ შემთხვევაში, თუკი, სასწავლო პროცესში დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების პარალელურად, ჩნდება საჭიროება პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად დაზუსტდეს სასწავლო მიზნები და შეიქმნას მისთვის ინდივიდუალურად ხელსაყრელი სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისათვის და გულისხმობს მოდულების ადაპტირებას სტუდენტის საჭიროებისამებრ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

PDF Eraser Free

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სარესტორნო მომსახურება“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსებით. ***დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამისთვის შედგენილი ბიუჯეტი.*** ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსის“ ბალანსზე რიცხული მატერიალურ - ტექნიკური ბაზით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ მიერ პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ სტრატეგიული გეგმით;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებები პროგრამის ხელმძღვანელების დანიშვნის შესახებ;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/82 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - კოლეჯის „იკაროსი“ ბიბლიოთეკის დებულებისა და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N01-09/75 ბრძანებით „ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით (ოთხი პრაქტიკის ობიექტი: „სს სასტუმრო კრონ პალასი“; სასტუმრო „Golden Tbilisi Hotel”; სასტუმრო „ბილთმორტ თბილისი“; სასტუმრო „ჰუალინგი“).



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერი:

ნ. [signature]

PDF Eraser Free

- ვიზუალური დათვალიერებით (ვიდეოზარის მეშვეობით)
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით / ინტერვიურებით.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

თარიღი

4/11/2020